

სოფელ ბაზაქლოში მდინარის დაღრმავებისა და მილხიდების მოწყობის ტექნიკური დავალება

საპროექტო ობიექტის მდებარეობა და სავარაუდო პარამეტრები

სოფელ ბაზაქლოში მდებარე მდინარის კალაპოტის ჩაღრმავება და მილხიდის მოწყობა; საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მაღალმთიან რეგიონს და გამოირჩევა მკაცრი კლიმატური პირობებით (გაზაფხულის პერიოდში კოკისპირული წვიმები); უხვი ნალექის გამო სოფელ ბაზაქლოში არსებული მდინარის კალაპოტი საჭიროებს მოტანილ ქვიშა-ღორღისგან (დაახლოებით 20 000 მ³ დაზუსტდეს პროექტირებისას) გაწმენდას და კალაპოტის ჩაღრმავებას დაახლოებით 1700 გრძ.მ-ზე (მანძილი დაზუსტდეს პროექტირებისას), საჭიროებისამებრ მოსაწყობია გაბიონები (ადგილმდებარეობა დაზუსტდეს პროექტირებისას), არსებული ხიდების (საფეხმავლო და სამანქანო) რეაბილიტაცია არსებულ გაბარიტებში. მოსაწყობია რამოდენიმე ლოკაციაზე ხევზე გადასასვლელი სამანქანო მილხიდი (ხიდის ზომები განისაზღვროს პროექტირებისას). *(ღირებულება სავარაუდოდ 300000 (სამასი ათასი) ლარი)*

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს)

1. თავფურცელი – ობიექტის დასახელება და მისამართი;
2. პროექტის შემადგენლობა და ნახაზების უწყისი;
3. განმარტებითი ბარათი - კარგად დეტალიზებული და დასკვნა-რეკომენდაციებით, კლასის მითითებით, ტექნიკური მაჩვენებლებით;
4. წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება: ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება აბსოლიტურ ნიშნულებში და ტოპოგრაფიული გეგმის მომზადება; სიტუაციური და გენ. გეგმ(ები)ა, არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციების და წითელი ხაზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დატანით და სხვა;
5. არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, ანალიზი;
6. ჰიდროლოგიური ანგარიში;
7. კალაპოტის ჩაღრმავების, ერთი საავტომობილო ხიდის და ნაპირ სამაგრის სამუშაოების მოწყობის პროექტი (მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, დეტალები, სპეციფიკაციები და სხვა);
8. ხიდზე საანგარიშო დატვირტვები, საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, არსებული სტანდარტებით განსაზღვრული ანალოგიური მოქმედების დატვირტვების მიხედვით;
9. ნაპირ სამაგრის სამუშაოების მოწყობის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს დამხმარე, დროებითი ღონისძიებები მდინარის და ხევის თავისებურებიდან გამომდინარე
10. უწყისები (რეპერების უწყისი, სამუშაოთა მოცულობების, საპიკეტო და მასალების კრებსითი უწყისი და სხვა); დაპროექტება განხორციელდეს აბსოლუტურ ნიშნულებში და თითოეულ ობიექტზე დამაგრებული იყოს არანაკლებ 2 რეპერისა მდინარის კალაპოტის გეომეტრიიდან გამომდინარე;
11. ნაგებობებზე გრძივი და განივი პროფილები;
12. გეოლოგიური დასკვნა, გრუნტის კატეგორიის მითითებით;

**სოფელ ბაზაქლოში მდინარის დაღრმავებისა და მილხიდების მოწყობის
ტექნიკური დავალება**

13. კონსტრუქციული ნაწილი სათანადო დეტალიზაციით (მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, დეტალები) და საანგარიშო სქემით;
14. მოძრაობის უშიშროების, საგზაო ნიშნების მოწყობის პროექტი;
15. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით ნორმების შესაბამისად (მოპ) (მ.შ. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);
16. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად - რესურსული მეთოდით.
17. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იქნას სამუშაოების მომსახურების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება ნაყარში.
18. მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო ობიექტი ადგილზე შეისწავლოს; მუშა ნახაზების შედგენამდე შეათანხმოს შემსყიდველთან ხევის ჩაღრმავების და ხიდის მოწყობის საპროექტო გადაწყვეტა, ძირითადი პარამეტრები და გამოყენებული მასალა - ნაკეთობების სახეობა; ასევე საბოლოო დოკუმენტაციის წარმოდგენამდე შემსყიდველთან შეთანხმდეს მუშა პროექტები და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები, ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ, საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მის წინადადებაში.
19. ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ნაბეჭდი (4 ეგზ.) და ელექტრონული ვერსიის სახით (პროექტი-„Sph“, „PDF“ და „DWG“, ხარჯთაღრიცხვა- „EXCEL“ ფორმატში);

შენიშვნა: ობიექტზე სამუშაოების შესრულების პროცესში უნდა გაუწიოს საავტორო ზედამხედველობა; იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან რაიმე ცვლილების განხორციელება, დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.